

ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N52ა საცხოვრებელი სახლის
N17 ბინაზე, მოქალაქე ჩუგულა ჯიხვაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა მოქალაქე ჩუგულა ჯიხვაძის წარმომადგენლის თამარ ჯიხვაძის განცხადება /2010 წლის 29.11 №-11074/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N52ა საცხოვრებელი სახლის N17 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N52ა საცხოვრებელი სახლის N17 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ჩუგულა ჯიხვაძეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N52ა საცხოვრებელი სახლის N17 ბინაზე /საერთო ფართობი 46,89 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 25,73 კვ.მ, დამხმარე ფართობი 21,16 კვ.მ./, მოქალაქე ჩუგულა ჯიხვაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე დ.ანდლულაძემ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე